აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №4

27/06/2017 წელი **ქ. ბათუმი**
10⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე და ზურაბ გოლიაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

2. სხვადასხვა.

1. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილ რეგლამენტში შეტანილი იქნას გარკვეული სახის შესწორებები და ამ შესწორებებთან ერთად კომისიას შესთავაზა უსკოს რეგლამენტში დამატებული იქნას (აისახოს), რომ უსკოში საქმისწარმოება ხორციელდება საქმისწარმოების ერთიანი ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემით, რომლის გასწორების მიზნით კომისიას შესთავაზა სხდომაზე შესვენების გამოცხადება.

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სხდომაზე შესვენების გამოცხადების შესახებ. კომისიის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 10:30 სთ-დან - 10 წუთით.

კომისიის სხდომა განახლდა 10:40 საათზე.

სხდომაზე გამოცხადდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი - ზურაბ გოლიაძე.

სხდომაზე წარმოდგენილი იქნა კორექტირებული დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მულხლობრივად გააცნო ყველა ცვლილება და დამატება რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის 7^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 7^2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7[2]. უსკოში საქმისწარმოება ხორციელდება საქმისწარმოების ერთიანი ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემით.“.

2. მე-3 მუხლის „მ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) გამოსცემს ბრძანებებს შიდაუწყებრივ, მოხელეთა დანიშვნის, განთავისუფლების, შვებულების, აპარატის თანამშრომელთა წახალისების, ადამიანური რესურსების მართვის (საკადრო) და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;“.

3. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურაში იქმნება შემდეგი სამსახურები:

ა) საოქმო სარეგისტრაციო სამსახური;

ბ) იურიდიული სამსახური;

გ) საარჩევნო პროცესების მართვის სამსახური;

დ) საფინანსო საბიუჯეტო სამსახური;

ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ვ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

ზ) ინსტიტუციური განვითარების სამსახური.“.

4. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომისიის სხდომის წინა დღის არა უგვიანეს 12 საათისა, კომისიის სხდომებზე განსახილველი, მათ მიერ მომზადებული და ხელმოწერილი დადგენილებების ან/და განკარგულებების პროექტები, იურიდიული სამსახურის ვიზირებით გადასცეს საოქმო სარეგისტრაციო სამსახურს;

ბ) კომისიის სხდომის მომდევნო დღის არა უგვიანეს 12 საათისა საბოლოო რედაქციით ჩამოყალიბებული მათ მიერ მომზადებული დადგენილებები ან/და განკარგულებების საბოლოო ვარიანტი გადასცეს საოქმო სარეგისტრაციო სამსახურს.“.

5. მე-9 მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უსკო განკარგულებით ამტკიცებს უსკოს სამსახურების დებულებებს.“.

6. მე-10 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 10. საოქმო სარეგისტრაციო სამსახური

საოქმო სარეგისტრაციო სამსახური:“.

7. მე-10 მუხლის „ა“, „გ“, „ზ“, „კ“, „ო“ და „პ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ახდენს შემოსული და გასული კორესპონდენციის (მათ შორის უსკოს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე info@sec.ge საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა) მიღებას, გაცემას, რეგისტრაციას მათ შორის ელექტრონულად (edocument.ge/USKO/app/) და ახდენს მის სისტემატიზაციასა და დროულად მიწოდებას შესაბამისი სამსახურებისათვის;

გ) ადგენს უსკოს სხდომის ოქმებს;

ზ) უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურისაგან გადმოცემული ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული შემაჯამებელი ოქმების და სხვა დოკუმენტაციის სათანადო წესით შენახვას/დაარქივებას;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უსკოს სხდომებზე განსახილველი დადგენილებების ან/და განკარგულებების პროექტებს, აგრეთვე უსკოს თავმჯდომარის და მდივნის განკარგულებების პროექტებს;

ო) შესაბამის ინფორმაციას კომპიუტერული დამუშავებისათვის გადასცემს უფლებამოსილ პირს;

პ) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრუქტურულ ერთეულებში საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზებას, edocument.ge/USKO/app/ - საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის მართვას კონტროლსა და მონიტორინგს;“.

8. მე-10 მუხლს „პ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$პ^1$“, „$პ^2$“, „$პ^3$“ და „$პ^4$“ პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ[1]) უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის სხდომების მოწვევას და ჩატარებას;

პ[2]) საარქივო სამმართველოს სპეციალისტებთან და უსკოს სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშავებს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმეთა ნომენკლატურას და წარუდგენს დასამტკიცებლად უსკოს თავმჯდომარეს;

პ[3]) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის შესაბამისი კანდიდატის ინფორმირებას მისი ადგილმონაცვლეობის თაობაზე;

პ[4]) უზრუნველყოფს კომისიის წევრების და სამსახურის უფროსების ინფორმირებას უსკოს სხდომების შესახებ;“.

9. მე-11 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საოქმო სარეგისტრაციო, საარჩევნო პროცესების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურებთან ერთად ამზადებს სასამართლოში წარსადგენ მასალებს;“.

10. მე-11 მუხლს „მ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ[1]“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ[1]) ამზადებს ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების რეგისტრაციისათვის განკარგულების პროექტებს;“.

11. მე-12 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 12. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახური

საარჩევნო პროცესების მართვის სამსახური:“.

12. მე-12 მუხლის „თ“ და „თ[1]“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საფინანსო საბიუჯეტო სამსახურთან ერთად მონაწილეობს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო დაფინანსების დაგეგმვაში;

თ[1]) ადგენს და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს გადასცემს ინფორმაციას არჩევნების ჩასატარებლად

საჭირო საარჩევნო ინვენტარისა და სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაციის რაოდენობის შესახებ;“.

13. მე-13 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 13. საფინანსო საბიუჯეტო სამსახური

საფინანსო საბიუჯეტო სამსახური:“.

14. მე-13 მუხლის „ნ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი არის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხულ ფასეულობებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი;“.

15. მე-14 მუხლს „ლ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ[1]) უზრუნველყოფს საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებელი ორგანიზაციების და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლების ინფორმირებას უსკოს სხდომების შესახებ;“.

16. მე-15 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 15. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური:“.

17. მე-15 მუხლის „ბ“, „გ“, „გ[1]“ და „ე“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ახორციელებს უსკოს წევრთა, აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ადამიანური რესურსების მართვის საკითხების (საკადრო) აღრიცხვას, პირადი საქმეების წარმოებასა და შენახვას;

გ) უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებასა და შენახვას;

გ[1]) ამზადებს შრომით ხელშეკრულებებს;

ე) ამზადებს უსკოს თავმჯდომარის ბრძანებების პროექტებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა დანიშვნის, განთავისუფლების, შვებულების, გადაყვანის, აპარატის თანამშრომელთა წახალისების, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;“.

18. მე-16 მუხლის მე-6 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი. ოქმს ადგენს საოქმო სარეგისტრაციო სამსახური და მას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი;

11. უსკოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ამრავლებს საოქმო სარეგისტრაციო სამსახური და გადასცემს შესაბამის სამსახურებს. დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უსკოს გადაწყვეტილებებს გადასცემს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;“.

19. მე-18 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საქმიანი ქაღალდების, საარჩევნო დოკუმენტაციისა და სხვა სახის მასალების მიღება, რეგისტრაცია და გასაცემი დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება საოქმო სარეგისტრაციო სამსახურში სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (შესვენება 13:00 საათიდან 14:00 საათამდე).

3. საოქმო სარეგისტრაციო სამსახურში შემოსული განცხადების (საჩივრის) რეგისტრაციის შემდეგ კომისიის მდივნის რეზოლუციით გადაეცემა (როგორც მატერიალურად ან/და ელექტრონული წესით) შესაბამის სამსახურს შესასრულებლად.

4. სათანადო წერილობითი განცხადების საფუძველზე, საოქმო სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ, კომისიის მდივანი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან/და გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა (თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა დაუყოვნებლივ შეუძლებელია). არჩევნების შესახებ ინფორმაციასა და საარჩევნო დოკუმენტაციას მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გასცემს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. დასაშვებია ინფორმაციის გაცემა ელექტრონული ვერსიით.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში

(მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**